

+

OGT.A3.8

Contents

წმიდა ათანასე ალექსანდრიელი - საკითხავნი წმიდისა ქრისტეს შობისანი	1
შენიშვნები	7
MSS	8

წმიდა ათანასე ალექსანდრიელი - საკითხავნი წმიდისა ქრისტეს შობისანი

 FRIDAY, 28 DECEMBER 2012 12:10 |  ავტორი - daviti |   

ძველი ქართული თარგმანი

თქუმული წმიდისა ათანასე ალექსანდრიელი¹ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ

ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჳ და რამეთუ ღმრთის-მშობელი მარადის ქალწული მარიამ
და რომელი იშვა მისგან ღმერთი და იგივე კაცი

საიდუმლოსა უცხოთა და დიდებულთა ვხედავ: მწყემსნი სასმენელთა ჩემთა ოხრიან; არა² უდაბნოსა
ქადაგებენ სახარებასა, არამედ ზეცისასა აქებენ გალობასა, ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი
გალობენ, აქებენ ქერობინნი, ადიდებენ სერაბინნი. ყოველი დაბადებული დღესასწაულობს, რამეთუ
ღმერთსა ხედვენ ქუეყანასა ზედა და კაცსა ცათა შინა, ქუესკნელსა ზესკნელად განგებულებით და
ზესკნელსა ქუესკნელად კაცთ-მოყუარებით.

დღეს ბეთლემი ზეცისა მობაძავ იქმნა: ვარსკულავთა წილ ანგელოზნი მაქებელად ჰქონან, მზისა წილ
მზჳ იგი სიმართლისაჲ მიუწდომელად დაიტია. და ნუ ეძიებთ, ვითარ დაიტია, რამეთუ სადა ღმერთსა
ჰნებავს, იძლევის ყოველივე ბუნებისა წესი, რამეთუ ინება და იქმნა, გარდამოჴდა და იქსნა და თანა-
მორბედ ყო ყოველივე ღმრთისა.

დღეს ძლიერი იგი არსი იშვების და დამბადებელი დაებადების, რამეთუ რომელი-იგი არს იყო, იქმნა
კაც; არა თუ წარმო[31]ჩინებით³ კაცობისაგან იქმნა იგი ღმერთ, არამედ სიტყუად ღმრთისაჲ
უვნებელად იქმნა ჯორციელ და უცვალებელად ჰგიეს ბუნებასავე ზედა ღმრთეებისასა.

არამედ ოდეს იშვა, ჰურიანი უვარ-ჰყოფდეს უცხოთა მას შობასა, ფარისეველნი სხუად თარგმანებდეს
საღმრთოთა წიგნთა, მწიგნობარნი წინაღმდგომ შჯულისა იტყოდეს, ჰეროდე შობილსა მას ეძიებდა,
არა რადთამცა თაყუანის-სცა⁴, არამედ რადთამცა მოკლა.

დღეს ყოველი წინა-აღმდგომი ვიხილეთ, რამეთუ მეფენი ქუეყანისანი მოვიდეს და ზეცისა იგი მეუფე უკვრს: ვითარ უკუე მოვიდა ქუეყანად? არა ანგელოზნი მის თანა, არცა მთავარანგელოზნი, არცა საყდარნი, არცა უფლებანი, არცა ძალნი, არამედ უცხოთა და უკულებელთა გზასა მოვიდა და უქმნელისაგან ყანისა და უთესველისა გამოჩნდა - საშომსაგან ქალწულისა!

ანგელოზნი მისნი თვსაგან დაუტევნა, არცა ჩუენთვს განკაცებითა თვსი იგი ღმრთეებად განიშოვრა. არამედ მეფენი ქუეყანისანი მოვიდეს თაყუანისცემად ზეცისა მის მეუფისა; ერისაგანნი ერისთავსა მას ძლიერებისასა ჰმსახურებენ; დედანი - დედაკაცისაგან შობილსა, რადთა [V] დედანი სიხარულსა მოიყვანნეს; ქალწულნი - ქალწულისაგან ყრმასა, რომელი ძუძუთა თვთდინებასა სძისასა მოსცემს, დედისაგან სძმ მიიღო ვითარცა ყრმამან; ჩჩვლნი ყრმანი - მისთვს, რამეთუ ჩჩვლ იქმნა, რადთა პირთაგან ჩჩვლთადას⁵ დაემტკიცოს⁶ ქებად (ფს. 8,2; შდრ. მათ. 21,16) ყრმათათვს მოწამეთა, რომელნი ეროდეს სიცილითა მოწყდეს; მამანი - მისთვს, რომელი-იგი განკაცნა ადამის მსგავსად და განკურნა ვნებად; მწყემსნი - მწყემსისა მისთვს კეთილისა, რომელმან თავი თვსი დადვა ცხოვართა თვსთავს (იოვ. 10,11); მღდელნი - მისთვს, რომელი-იგი წესსა მას ზედა მელქიზედეკისსა მღდელო-მოდღუარ იქმნა (ფს. 16,4; შდრ. ებრ. 7,21); მონანი - მისთვს, რომელმან ხატი მონისა შეიმოსა (ფილიპ. 2,7), რადთა მონებასა ჩუენსა აზნაურებითა პატივ-სცეს; მესათხევლენი - მისთვს, რომელმან მესათხევლენი თევზთანი მონადირე კაცთა ყვნა (მათ. 4,19); მეზუერენი - მისთვს, რომელმან მეზუერენი მახარებლად გამოაჩინა; მეძავნი - მისთვს, რომელმან მეძავისა⁷ ცრემლითა ფერწნი დაიბანა; და რადთა მოკლედ ვთქუა, ყოველნი ცოდვილნი მოვიდეს ხილვად კრავისა მის ღმრთისა, რომელმან აკოცნეს ცოდვანი სოფლისანი (იოვ 1,29).

ყოველთა უხარის და ხლდებიან. მეცა მნებავს სიხ[32]არული და ვიხარებდე; გალობად მნებავს და დრესასწაულობად მწადის. არა ხეთა რტომ მიპყრის, არცა ქნარი მაქუს, არცა ლამპარნი მიპყრიან აღნთებულნი, არამედ სახიობისა წილ და ქნარისა ქრისტჳს სახუეველნი მქონან და იგი არს ჩემდა ქნარ და იგი არს ჩემდა ლამპარ.

და რასა ვიტყვ ლამპარსა? იგი არს ჩემდა მცნელ და იგი არს ჩემდა ცხოვრება. ამისთვსცა ესე მაქუს, რადთა მათითა შეწევნითა მოვილო ძალი სიტყვსა მის და ვიტყოდი ანგელოზთა თანა: დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა! და მწყემსთა თანა ვიტყოდი: ქუეყანასა ზედა მშვდობად და კაცთა შორის სათნოებად! (ლუკ. 2,14) რომელი იშვა წინა საუკუნეთა გამოუთქუმელად მამისაგან ნეფსით თვსით, რომლისაგან ზეგარდამო შობად მისი გამოთქუმად ვერ შესაძლებელ არს, არცა უკუანადსკნელთა ჟამთა მოსლვად მისი საცილობელ არს.

და რამეთუ დღეს ქალწულმან შვა, ვიცი და ღმერთმან დაუსაბამოდ შვა, მრწამს. ხოლო სახესა მას შობისასა პატივის-ცემად მისწავის დუმილით და არა⁸ სიტყვთ გამოძიებად. ხოლო ღმრთისა თანა არა ჯერ-არს ბუნებისა საქმჳ ხედვად, არამედ ძალისა მის მოქმედისა [V] სარწმუნოებად, რამეთუ ბუნებისად არს სრბად. ხოლო ოდეს ქალწულმან, ქორწილისა უმეცარმან, შვა და მერმე ქალწულივე ჰგის, უფროს ბუნებისა არიან ესევითარნი საქმენი.

აწ ბუნებისასა მას ვეძიებ, ხოლო უფროს ბუნებისასა ვდუმი, არა ვითარმცა ვივლტოდე, არამე ვითარცა გამოუთქუმელსა და ვერ შესაძლებელსა დუმილით პატივის-ცემად ღირს.

არამედ მეცით მე შენდობად, რამეთუ მეგულების მე სიტყვსა ამის სხუად კერძო ქცევად, რამეთუ მეშინის მე უფროს ძალისა ჩემისა გამოძიებად. არამედ ადვილად კერძო ვაქციო სიტყუათა ამათ ნავისა მანქანად.

რამე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? მშობელსა ვხედავ და შობილსა განვიცდი თუალითა, ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მიც მიწდოლვად. იძლევის ბუნებად, იძლევიან წესნი სრბისანი, ოდეს-იგი ღმერთსა ჰნებავნ, რამეთუ არა ბუნებით იყო საქმჳ იგი, არამედ უფროს ბუნებისა საკვრველებად იგი: უქმ იქმნა ბუნებად, არამედ იქმნა უფლისა იგი ნებად.

ჰ მადლისა ამის ამის გამოუთქუმელისა! [33]რომელი-იგი საუკუნეთა უწინარეს მხოლოდ-შობილ და კელ-შეუხებელ, წრფელ, უსხეულო, შემოვიდა ჩვენსა ამას განჯრწნადსა და ხილულსა ჯორცსა! რამეთუ კაცთა ხილული სმენილსა უფროდს სარწმუნოდ შეპრაცხიან, და რასაცა ხედვედ, იგიცა ჰრწამნ; რომელსა არა ხედვედ, აცილობედ. ამისთჳს თავს-იდვა თავისა თჳსსად ხილულად და პორციელად მოსულად, რადთა დაჰჳსნეს ურწმუნოთად მათ ორგულებად, რამეთუ იშვა ქალწულისაგან ჰეშმარიტად, რომელმან არა იცოდა საქმე იგი, არცა თანა-ეჰმოდა ვინ, არცა თანა-შეერთო შობასა მას, იყო ლიტონი გუამი გამოუთქუმელისა ზალისად. გარნა გაბრიელისაგან იკითხა, ისწავა და თქუა: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მამაკაცი არა ვიცი? და ჰრქუა მას გაბრიელ: სული წმიდად მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისად გფარვიდეს შენ (ლუკ. 1,34-35).

ხოლო ვითარ იყო მის თანა და მცირედრე შემდგომად მისგან?

ვითარცა იგი ხურომან პოვის ნივთი, უსაჰმარწსად და უმჯობესად ჰურჭლად შექმნის იგი, ეგრეცა ქრისტემან პოვა ქალწულისად მის სული და გუამი წმიდად [V] და სულიერი, თავისა შექმნა მისგან ტამარი, ვითარცა უნდა მას, დაჰზადა კაცი ქალწულსა მას შინა, შეიმოსა იგი და დღეს გამოვიდა. არა სირცხულ უცნდა შეურაცხისა ესე ბუნებად, რამეთუ არცაღა გინება იყო მისა თჳსი იგი ქმნული შემოსად. და დაბადებულმან მან დიდი ნაყოფი მოიღო დიდებისად, რამეთუ სამოსელ ხუროთ-მოდურისა იქმნა. ვითარცა-იგი პირველ შეუძლებელ იყო შესაქმედ კაცი, ვიდრე თიჯისა მის⁹ კელთა მისთა მოსულადმდე, ეგრეცა განრყუნილი იგი ჰურჭელი და შეურაცხი შეუძლებელ იყო მეორედ შესაქმედ, უკუეთუმცა არა იქმნა სამოსე შემოქმედისა თჳსისა.

აწ რად-მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? განმაცრთობს მე საკვრველებად ესე: ძუელი იგი დღეთად, დაუსაბამოდ დღეს იშვების ყრმად; რომელი საყდართა ზედა აღმალელებულთა და აღმატებულთა მჯდომარე არს, ზაგასა შინა დაიწვინა; კელ-შეუხებელი იგი და წრფელი და უსხეულოდ კაცობრივითა კელითა წარიგრაგნა; რომელმან-იგი ცოდვისა საკვრველნი განხეთქნა, სახუეველითა შეხუეულ¹⁰ არს. რამეთუ ჰნებაჳს ესრფთ უპატიოდ იგი პატიოსან ყოფად და დიდებულსა მას შემოსად არა დიდებად და გინებისა იგი სიტყუად გჯრ[34]გჯნოსან ყოფად. რომლისაგან შეიმოსს ჯორცთა ჩემთა, რადთა მე დავიციო სიტყუად მისი; მიიღებს ჯორცთა ჩემთა და მომცემს სულსა წმიდასა მისსა¹¹, რადთა მომცეს და მიიღოს და საუნჯე ცხოვრებისად მომმადლოს¹² მე; მიჰქონან ჯორცნი ჩემნი, რადთა წმიდა ყვნეს იგინი, და მომცემს სულსა თჳსსა, რადთა მიჰსნეს მე.

აწ რად-მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? აჰა ესერა ქალწული მუცლად-იღებს (ესაია 7,14; შდრ. მათ. 1,23). არა იტყვს ვითარცა ყოფადსა, არამედ დააკვრვებს ვჴა ყოფილსა.

ჰურიათა თანა სიტყვთ ითქუმის, რომელთა თანა ქმნულ იყო, ხოლო ჩემ თანა სარწმუნო არს; ჰურიათა თანა სახელით ხოლო სახელ-ედების, რამეთუ "აჰა ესერა ქალწული მიუდგეს", წერილი ესე - შესაკრებელსა მათსა, ხოლო ნაყოფი - ეკლესიამან მარგალიტი მოიო; მან მატყლი ოდენ შეღება, ხოლო ეკლესიამან მოწეული შეიმოსა.

ჰურიასტანს იშვა იგი და ყოველმან სოფელმან შეიწყნარა იგი; ეკლესიამან შეიწყნარა იგი და ნაყოფი გამოიღო; შესაკრებელს მათსა - რტოდ ხოლო ვენაჳსიად, ხოლო ეკლესიასა შინა - ტევანი იგი ჰეშმარიტებისად; მან მარცუალი იფქლისად დასთესა შესაკრებელსა მათსა და წარმართნი მანგლითა სარწმუნოებისადთა იფქლსა მოიმკიან; [V] წარმართთა ვარდი კეთილად მსახურებითა მოიკრიბეს, და ჰურიათა თანა ეკალი ურწმუნოებისად დაადგრა; მართუენი იგი გამოფრინდეს და უგუნურნი იგი ბუდეთადა ზედა სხენან; ფურცელსა მას წერილისასა ჰურიანი თარგმანებენ, და ნაყოფსა მას სულისასა წარმართნი მოიმკიან.

"აჰა ესერა ქალწულმან მუცლად-იღო". ჰ ჰურიאו, მითხარდა მე: რომელიიგი იშვა? აწ მკადრედა, რომელი-იგი იშვა, ვითარცა-იგი ჰკადრე ჰეროდეს. არამედ ვერ მკადრო, რამეთუ ჰეროდეს უთხარ, რადთა მოკლას იგი, ხოლო მე არა მითხრობ, რადთამცა თაყუანის-ვეც მას.

ვინ არს, რომელი-იგი იშვა, ვინ არს? - არამედ უფალი ბუნებათაჲ. და ღათუ შენ სდუმნე. არამედ ბუნებანი ღაღადებდენვე, რამეთუ იშვა ჭეშმარიტად, ვითარცა ინება. შობად იგი არა თუ ბუნებისაგან იბრძანებოდა, არამედ ვითარცა-იგი უფალსა ბუნებათასა ჰნებავს: უცხოდ შემოჰყავს ბუნებისა სახე, რადთა აჩუენოს, ვითარმედ კაც ღათუ იქმნა, არა თუ ვითარცა კაცი იშვა, არამედ ღმერთი კაც იქმნა ქალწულისაგან.

დღეს იშვა სასძლო ბუნებასა, რამეთუ შე-ვე მისა -ჰგვანდა, რამეთუ მან თავადმან პირველ ქალწულისაგან ქუეყანისა ადამი დაჰბადა, და ადამ თვნიერ დედაკაცისა დედაკაცი მოიყვანა. ეგრეცა დღეს წმიდამან ქალწულმან თვნიერ მამაკ[35]აცისა მამაკაცი შვა. რამეთუ იტყვს წიგნი, ვითარმედ: კაცი არს და ვინ-მე იცნას იგი? რამეთუ თანა-ედვა დედათა ნათესავსა მამათა მადლი კუალად მოცემად, ვითარცა-იგი რომელ თვნიერ მამაკაცისა უფროჲს ევადსსა და კუალად-მოაგო მამათა თანა-ნადები. რადთა არა დიდად თავი სთნდეს ადამს, რამეთუ თვნიერ დედაკაცისა დედაკაცი აღმოაცწნა, ამისთვის ქალწულმან თვნიერ მამაკაცისა მამაკაცი შვა, რადთა ახლითა მით საკვრველებითა ზოგადი პატივი აჩუენოს ბუნებისაჲ. ვითარცა-იგი ადამისაგან გუერდი¹³ გამოიღო და ადამს არაჲ დააკლდა, ეგრეცა ქალწულისა თანა სულიერი კაცი აღმოაცწნა და ქალწულებად არა დაჰკსნა. ცოცხალი და გებული დაადგრა ადამ შემდგომად გამოღებისა მის გუერდისა, და უბიწოდ დაადგრა ქალწულიცა შემდგომად გამოსლვისა მის ყრმისა. ამისთვისცა არა სხუთ თავისა თვისსა შეჰმზადა ტაძარი, არცა სხუად გუამი დაჰბადა და სეიმოსა, რადთა არა საგონებელ იყოს ადამისი იგი ბუნებაჲ გინებულ, რამეთუ სცთა ადამი და ჭურჭელ ეშმაკისა იქმნა. ამისთვისცა რომელ [v] საგონებელ იყო ჭურჭლად¹⁴ ეშმაკისა, სულიერი შეიმოსა უფალმან კაცი, რადთა მოქმედისა მის შეერთებითა ეშმაკისაგან ჩუეულებისა¹⁵ განაშოვროს იგი. და ღათუ კაც იქმნა, არა ვითარცა კაცი იშვა, არამედ ღმერთი კაც იქმნა. უკუეთუმცა ჩუენებრისაგან ქორწილისა იყო, ნაცილმცა ეგონა მრავალთა, ხოლო აწ ქალწულებად¹⁶ განუტრწნელად დაიცვა, რადთა უცხოდ იგი მიდგომილებისა შობად სარწმუნოებისა დიდისა მექმნეს მომატყუებელ.

რომლისაგან გინა თუ ჰურიად, გინა თუ წარმართი მეტყოდის მე: რომელი იგი ბუნებით ღმერთ იყო და კაც იქმნა თვნიერ ბუნებისა? ხოლო მე ვჰრქუა მათ: ჰე, მოწამედ სიტყვსა ამის შეუგინებელეზასა მას ქალწულისასა ბეჰდად ვხადი, რამეთუ ესე ღმერთი არს და წესსა მას ბუნებისასა სძლევს. ესე არს საშოდსა მის შემოქმედი და ქალწულებისა¹⁷ მომპოვნებელი, რამეთუ შეუგინებელად აქუნდა საშოდთ გამოდ იგი შობად და თავისა თვისსა გამოუთქუმელად აღაშწნა ტაძარი, ვითარცა სახედ უნდა.

მითხარდა მე აწ, ჰურიად, შვა ქალწულმან, ანუ არა? უკუეთუ შვა, აღიარე აწ [36] ახალი იგი შობად; უკუეთუ არა შვა, რადსათვს ეროდე აცთუნე? რამეთუ შენ გკითვიდა იგი და გრქუა: სადა შობად არს ქრისტე? და შენ უთხარ მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა (მათ. 2,4-5). ნუუკუე ადგილი იგი, ანუ დაბად მე ვიცოდე? ანუ შობილისად მის მე ვიცოდე? ანუ არა ესაია ღმერთით გაუწყა თქუენ და იტყვს: შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ენმანუელ? (ესაია 7,14; მდრ. 1,23) ანუ არა თქუენ, გონიერნო მტერნო, ჭეშმარიტი სთქუთ? ანუ თქუენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ჭეშმარიტისა შჯულისა მტერნო, ყოველივე თავისა თქუენისა ძვრად ჩუენ გუასწავეთ? ნუუკუე ცუენ ებრაელებრი ვიცოდეთა? ანუ არა თქუენ სიტყუად იგი გამოგვთარგმანეთ?

და რადღა-მე ვთქუა? პირველ შობისა ქალწული და შემდგომად შობისა ქალწულივე; რადთა არა გეგონოს, ვითარმედ რეცა ღმერთსა მიჰმადლებთ თარგმანებას ამის სიტყვსასა, ანუ არა თქუენ ეროდეს წინაშე მოწამედ მიქეა წინაწარმეტყუელი მოიყვანეთ, რადთა თქუენი იგი სიტყუად სარწმუნო ჰქმნეთ? რამეთუ იტყვს: და სენ, ბეთლემ, სახლი ეგე ეფრათადსი, არასადა უმწწემეს ხარ მთავართა შორის იუდადსთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი (მიქ. 5,2; მდრ. მათ. 2,6).

[v]კეთილად თქუა წინაწარმეტყუელმან, რამეთუ: "შენგან გამოვიდეს ჩემდა წინამძღუარი", რამეთუ თქუენგან გამოვიდა და სოფლად მოვიდა. რომელ-იგი პირველად არნ, იგი მოვიდის; ხოლო რომელ იგი არა არნ, ანუ დაეზადის ანუ იქმნის. არამედ იგი თავადი იყო და უწინარწს საუკუნეთა იყო და

მარადის არს და იყო დაუსაზამოდ და მარადის ღმერთ და განაგებდა სოფელსა, ხოლო დღეს მოვიდა ვითარცა კაცი, და ვითარცა კაცი მწყისის სამწყისოსა¹⁸ თვსსა და რამეთუ ღმერთ არს და აცხოვნებს სოფელსა.

ჰ ბრძენთა მათ ტკბილთაჲ! ჰ შემასმენელთა კაცთ-მოყუარეთაჲ, რომელთა ბეთლემს დაფარული იგი ღმრთად გამოაცინეს, რომელთა ბაგასა შინა დამალული იგი ღმრთად აუწყეს, არა ნეფსით კეთილი ქმნეს, არამედ უნებლიათ გამოაცხადეს, რომლისაჲ დაფარვაჲ უნდა.

აწ იხილენით უსწავლელნი ესე მოძღუარნი, რომელნი სხუათა ასწავებენ და მათ არა იციან; მათ შიის¹⁹ და სხუათა ზრდიან; მათ სწყურის და სხუათა ასუმენ.

მოვედით აწ, სიხარულით დღესასწაულსა ამას ვჰყოფდეთ: მოვედით აწ და კრებათა აღვასრულებდეთ, რამეთუ უცხო არს დღესასწაულისა ამის სახე, [37] ვითარცა-იგი დიდებულ არს შობისა მისისა სიტყუაჲ, რამეთუ დღეს მრავალ-ჟამისა იგი საკრველნი განჰქსნდეს, შემასმენელსა²⁰ მას ჰრცუნა, ეშმაკნი ივლტან, სიკუდილი დაირღუა, სამოთხე განელ, წყევად განქარდა, ცოდვაჲ შორს განვიდა, საცტური განიდევნა, ჭეშმარიტებაჲ კულად-მოეგო და სიტყუაჲ ღმრთის მსახურებისაჲ ყოველსა ადგილსა განეფინა და ზეცისა ცხორებაჲ ქუეყანასა დაენერგა; კაცი ანგელოზთა ეზიარნეს და ანგელოზთა თანა უშიშად იტყვან: რამათვს-მე? - ამისთვს რამეთუ ღმერთი ქუეყანად გარდამოჰდა და კაცი ზეცად აღვიდა და ყოველი ერთბამად იქმნა, რამეთუ მოვიდა ქუეყანად და ყოვლადვე ცათა შინა იყო და ყოვლადვე ქუეყანასა ზედა იყო.

ღმერთი იყო და კაც იქმნა და არა უვარ-ყო ღმრთეებაჲ თვსი. სიტყუაჲ იყო უვნებელი და ჯორციელ იქმნა, რამეთუ ღმერთ არა მერმელა იქმნა, არამედ იყო. ამისთვს ჯორციელ იქმნა, რამეთუ²¹ რომელსა-იგი ვერ იტევდეს ცანი, დღეს დაიტია ბაგასა; და რომელი ზრდის ყოველთა ყრმათა, საზრდელი მიიღო ქალწულისაგან. რამათვს მერმეთა საუკუნეთა მამად ვითარცა ყრმაჲ ძუ[ვ]ძუდს მწოვარი მკლავთა ზედა ქალწულისათა თავს იდებს? - არამედ რადთა მოგუნი უშიშად მოუჰდენ. რამეთუ შოვრით მოგუნი მოუჰდეს მას, დღეს დასაბამი მოიღეს უვარის-ყოფად მძლავრისა მის, რამეთუ ვარსკულავი იგი უფალსა მათსა აუწყებდა. და უფალი ღრუბელთა²² ზედა სულმცირეთა მჯდომარე ჯორცთა მათ²³ შევალს ეგვპტედ (ესაია 19,1), საგონებელად, რეცა ივლტის ჰეროდეს ძვრის ზრახვისაგან, ხოლო ჭეშმარიტად აღერულა თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ: მას დღესა შინა იყოს ისრაელისა²⁴ მესამე ნაწილი ასურეთს შინა და ეგვპტეს (ესაია 19,24). რამეთუ ასურნი და ეგვპტელნი უწინარეს დაეწესნეს, და პირმშოდ ისრაელისაჲ თანა-შეერაცხების. ჰე, ჭეშმარიტად ასურნი უწინარეს დაეწესებიან, რამეთუ მათ პირველად მოგუთა მათ მიერ თაყუანის-სცეს²⁵ მას, და ეგვპტელნი - შემდგომად ასურთა, რამეთუ მათ იგი თავადი შეიწყნარეს, ივლტოდა რად ძვრის ზრახვისაგან ჰეროდესა, ხოლო უკუანადსუნელ ისრაელი თანა-შეერაცხების, რამეთუ შემდგომად აღმოსლვისა იორდანით, მაშინ მოციქულთა მიერ ისრაელმან იცნა.

შევიდა ეგვპტედ და შეარყინა კელით ქმნულნი ეგვპტისანი, არა თუ ცალიერად, არამედ რადთა დაჰქსნეს შესავალნი ეგვპტისანი პირმშოთა მათ წარწყმედისანი²⁶. [38] ამისთვს დღეს შევიდა მუნ ვითარცა პირმშოდ, რადთა პირველისა მის მწუხარებისაჲ დაჰქსნეს გლოვაჲ. რამეთუ პირმშოდ წოდებულ არს ქრისტე, მოწამედ წარმოდგინ დღეს ლუკა მახარებელი, რამეთუ იტყვს: და შვა ძე მისი პირმშოდ და შეხვა მას სახუეველი და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო ადგილი სავანესა მას (ლუკ. 2,7).

შევიდა ეგვპტედ, რადთა ძუელისა მის მწუხარებისაჲ დაჰქსნეს გლოვაჲ და ტანჯვისა მისთვს მოსცეს მადლი და ღამისა მის წილ და ზნელისა ცხორებისაჲ იგი მოჰმადლოს ნათელი.

შეგინებულ იყო ნილოსისა იგი წყალი ყრმათა მათ უჟამოდ მოწყუედისათჳს²⁷. შე-რად-ვიდა ეგვპტედ, რომელმან მასინ წყალი იგი სისხლად გარდააქცია, ყვნა ნილოსისა იგი წყალნი ცხოვრებისა მშობელ, არაწმიდებად იგი მათი და შეგინებად განწმიდა ძალითა სუისა წმიდისადთა.

ბოროტ იყვნეს ეგვპტელნი და სიცბილითა მათითა ღმერთსა უვარჰყოფდეს. შე-რად-ვიდა ეგვპტედ, დასაბამად მეცნიერებითა ღმრთისადთა სულნი ღმრთის-მოყუარეთანი აღავსნა და ნილოსსა²⁸ მოსცა მოწამედ გვრგვინებად იფქლისა უნაყოფიერწსი.

არამედ იწროებისათჳს ადგილსა მნებავს სიტყვსა ამის დაცადებად. ამიერითგან საქმისა ამის [v] გამოცხადებად მერმესა დღესა დაგიმარხო თქუენ. ხოლო აქა დავაცადო და სიტყუად იგი დავასრულო, რამეთუ ვითარიგი იყო ღმრთისა სიტყუად უვნებელი და კორციელ იქმნა და უცვალეებლად ჰგიეს ბუნებასა მას თჳსსა.

აწ რად მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? ხუროსა ვხედავ და ბაგასა და ქალწულსა მშობიერსა და ყრმასა და საკმარათგან უპოვარსა. ყოველივე დავრდომილთად აქუს, ყოვლადვე სიგლახაკითა სავსწ.

იხილეთ აწ სიმდიდრე სიგლახაკითა მრავლითა, რამეთუ ვითარ-იგი მდიდარ იყო და ჩუენთჳს დაგლახაკნა! ვითარ-იგი არა აქუნდა ცხედარი, არცა სარეცელი, არამედ ჴმელსა შინა ბაგასა დავრდომილ არს! ჰ სიგლახაკო და სიმდიდრეო ქუეყანისაო აურაცხელო! სიგლახაკისა ხატი მოაქუს და ბაგასა შიდა წევს და სოფელსა აღსძრავს; და სახუეველითა შეხუეულ არს, რომელმან საკრველნი ცოდვისანი განხეთქნა. ამან სიმტკიცისა სიტყუად აღმოთქუა და მოგუნი იგი აღადგინნა ღმრთისა მოქცევად.

რად-მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი? აჰა ესერა ყრმად სახუეველითა შეხუეულ არს და ბაგასა შიდა წევს და მარიამ, დედად, და იოსებცა თანა არს, რომელსა სახელ-ედვა მამად მისა²⁹. ესე მამაკაცად [39] ითქუმის და იგი - დედაკაცად, მოიკითხვების სახელი მეუღლისად სიტყვით და არა საქმით. ამას ეთხოვა იგი და სული წმიდად ჰფარვიდა მას. რომლისაგან ვერას ჰპოებს იოსებ და არა იცოდა, რამდცა უწოდა³⁰ ქალწულსა მას: მრუშებითმცა თქუა იგი? - ვერ იკადრებდა, რამეთუ მართალი იყო კაცი იგი და ვერ იკადრა სიტყუად გმოზისად დადებად წმიდასა მას ქალწულსა; შვილადმცა თჳსა თქუა იგი? - ვერ იკადრებდა, რამეთუ იცოდა კეთილად, ვითარ, ანუ ვინად იშვა ყრმად იგი.

რომლისაგან ვერას ჰპოვებდა საქმისა მისთჳს, გამოცხადებად ზეცით ანგელოზისა პირითა მოიწია და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, იოსებ, რამეთუ რომელიგი შობად არს მაგისგან, წმიდა ეწოდოს მას, მე მადლის (მათ. 1,20; ლუკ. 1,32), ესე იგი არს, ვითარმედ: სული წმიდად ჰფარვიდეს ქალწულსა მას.

აწ რადსათჳს ქალწულისაგან იშვების და ქალწულებასა უბიწოდ და ცოცხლად დაიმარხავს? - რამეთუ ძუელი იგი ქალწული ევა აცთუნა ეშმაკმან, ამისთჳს რამეთუ ქალწული იყო მარიამ და გაბრიელ ახარებს. არამედ ევად სცთა და სიტყუად შვა სიკუდილისა თანა-მდები.

ეხარა სახარებად მარიამს და სიტყუად კორციელი შვა, ცხოვრებისა საუკუნიოდსა ჩუენდა მომატყუებელი. [v] სიტყუამან ევამსმან ხე გამოაციანა, რომლისა ხისაგან ადამი სამოთხით გამოჴადა; ხოლო სიტყუამან წმიდისა ქალწულისამან ჯუარი გამოაციანა, რომლითა ადამის წილ ავაზაკი შეიყვანა, რამეთუ არა ჰრწმენა არცა ჰურიათა, არცა წარმართთა, არცა მწვალეებლთა ნათესავსა, ვითარმედ ღმერთმან გამოუტყუებულად³¹ და უვნებელად შვა იგი. ამისთჳს დღეს ვნებულისაგან კორცისა მოვიდა და უვნებელითა მით ვნებული კორცი დაიცვა, რადთა აჩუენოს: ვითარცა-იგი ქალწულისაგან იშვა და ქალწულებად არა დაჰქსნა, ეგრეცა ღმერთი გამოუტყუებულად და უცვალეებლად ეგო, წმიდად იგი არსებად, რამეთუ ღმერთმან ღმერთი ღმრთის-შუენიერად შვა. და დაუტევეს იგი კაცთა და კაცისა ხატი გამოთაღეს - კერპი, რომელსა ჰმსახურებდეს საგინებელად დამზადებელისა მათისა. ამისთჳს სიტყუად ღმრთისად კაცისა ხატად გამოჩნდა, რადთა საცთური იგი დაჰქსნდეს და დაფარულად თავისა თჳსისა მსახურებად იგი მოაქციოს.

რამეთუ არა ჰრწმენა იგი წარმართთა, არცა ჰურიათა, არცა ნაშობსამწვალებელთასა, ვითარმედ ღმერთმან იგი გამოუკუნებელად და უვნებელად შვეს. ამისთჳს ვნებულისაგან კორცისა მოვიდა და უვნებელითა მით ვნებული კორცი დაიმარხა.

[40] ამისთჳს თაყუანის-ვსცემთ წმიდისა³² მარიამისგან შობილსა იესუ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომლისა შუენისა დიდებაჲ და პატივი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

შენიშვნები

1 - ალექსანდრელ S.

2 - არაჲ S.

3 - წარმჩინებით S.

4 - თაყუანისცა S.

5 - ჩჩლთაჲსა S.

6 - დაემკიცოს S.

7 - ასეა S.

8 - და არა] დარა S.

9 - ამის S.

10 - შეხუეუელ S.

11 - მისა S.

12 - მომადლოს S.

13 - გუერდისა S.

14 - ჭუჭლად S.

15 - ჩუეუეულებისა S.

16 - ქალწულეებაჲ S.

17 - ქლუებისა S.

18 - სამწყოსოსა S.

- 19** - შის S (მოსალოდნელი იყო უფრო სრული ფორმა: ჰმშიის, ჰშიის).
- 20** - შემამენელსა S.
- 21** - რამეთუ] რა S.
- 22** - ღრუბლთა S.
- 23** - მჯდომარჱ ჯორცთა მათ] ჯორცთა მათ ზედა მჯდომარჱ S.
- 24** - ასეა S (უქარაგმოდ, გახსნილად).
- 25** - თაყუანისცეს S.
- 26** - წარწყმედისად S.
- 27** - მოწყუდვსათჳს S.
- 28** - ნილოსა S.
- 29** - მის\სა S.
- 30** - იოსებ და არა იგოდა, რამცა უწოდა] ეს სიტყვები ისევ მეორდება S-ში.
- 31** - გამოუკუებელად S (შდრ. აქვე ცოტა ქვემოთ: გამოუკუებელად).
- 32** - წდ\სა S (ჯერ "წდისა" დაუწერიათ, მაგრამ შემდეგი ი ამოუფხეკიათ. მისი კვალი მკრთალად ჩანს).

MSS

სინური მრავალთავი (864 წ.)

ტექსტი გადმოღებულია ინტერნეტ საიტ: <http://titus.uni-frankfurt.de>

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=529%3A2012-12-28-08-10-30&catid=39%3A2009-12-29-11-32-35&Itemid=54&lang=ka